დასკვნა:**დ02.37211041**
თარიღი:**14/04/2021**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც სრულ თანხვედრაშია საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

მიმდინარე წლის 12 აპრილს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ და აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ ერთობლივ სხდომაზე განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში (შემდგომში - ანგარიში). კომისიების ერთობლივ სხდომაზე ბიუჯეტის წლიური ანგარიშის განხილვას წინ უსწრებდა აღნიშნული დოკუმენტის შესწავლა, ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება კომისიებთან მოქმედი სამუშაო ჯგუფების მიერ.

კომისიების ერთობლივ სხდომაზე დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების განხილვის შედეგებიდან გამომდინარე მომზადდა წინამდებარე დასკვნა, რომელიც მოქმედი წესის შესაბამისად გაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განხილვის დროს გასათვალისწინებლად. შესაბამისად, კომისიების დასკვნაში ასახულია კომისიების მიერ მიღებული დადგენილება. კერძოდ:

1. ანგარიში მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომლებიც განსაზღვრულია საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლით, აგრეთვე ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შედგენის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესით.

2. 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ნათლად იკვეთება საბიუჯეტო რესურსების რაციონალური და მიზანმიმართული გამოყენების მკვეთრად გამოხატული ტენდენციები. აღნიშნულს თვალნათლივ ადასტურებს 2020 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების და შესრულებული სამუშაოების მრავალფეროვნება. მიუხედავად, ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, მუნიციპალიტეტმა საანგარიშო წელს მოახერხა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, საბიუჯეტო სახსრების 2019 წელს მიღწეული დონის შენარჩუნება, ხოლო ცალკეული პროგრამების ქვეპროგრამების მიხედვით გადაჭარბებაც.

3. პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, შესრულდა 82,3 პროცენტით. აღნიშნული პრიორიტეტის ხვედრითი წილი საერთო საბიუჯეტო ასიგნებებში შეადგენს 53,23-ს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი უფრო მაღალია, ვიდრე ანალოგიური საშუალო მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით.

4. პრიორიტეტი - „დასუფთავება და გარემოს დაცვა“, განხორციელებაზე გეგმით უნდა დახარჯულიყო 2910,0 ათ.ლარი, ფაქტობრივად დაიხარჯა 2845,2 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 97,8%-ით, რომელიც ასევე საკმაოდ შთამბეჭდავი სიდიდეა. აღნიშნული პრიორიტეტის ხვედრითი წელი საერთო საბიუჯეტო ასიგნებებში 6,6%-მდე აღწევს, რაც სხვა ანალოგიური სიდიდის მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელს 2 პროცენტული პუნქტით აღემატება.

5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წელს 83 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რეაბილიტირებული იქნა 37000გრ/მ გზის საფარი, მათ შორის 5000გრ/მ-მდე ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე. მუნიციპალიტეტში აშენდა 2 ერთეული ახალი ამბულატორია, ექსპლუატაციაში შევიდა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

6. სოფლის მხარდასაჭერი პროგრამის ფარგლებში საკასო შესრულებამ 2212,8 ათ. ლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 3,7%-ით ნაკლებია ვიდრე ეს იყო დაგეგმილი. სამოქალაქო ბიუჯეტის „იყავი თანამმართველი“-ს ფარგლებში არ განხორციელებულა არც ერთი ღონისძიება, რომლებიც შერჩეულ იქნა კონკურსის წესით.

7. მნიშნელოვანი სამუშაოები ჩატარდა პრიორიტეტის - „დასუფთავება და გარემოს“ დაცვის ფარგლებში. 2910,0 ლარის ნაცვლად აღნიშნული პრიორიტეტით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსებაზე დაიხარჯა 2845,2 ათ. ლარი.

8. გარკვეული სამუშაოები შესრულდა ეკონომიკური საქმიანობის, ძირითადად სოფლის მეურნეობის ეფექტურად წარმართვის მიზნით. მოეწყო სადემონსტრაციო ნაკვეთები და განხორციელდა ისეთი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის განკარგულებაში არსებული ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებაზე.

9. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის და აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან მიმართებაში დაფიქსირდა გარკვეული შენიშვნები, მათ შორის არსებითია:
   - წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდის ოდენობა განსაზღვრული იყო 230,7 ათ. ლარით და დაიხარჯა 230,7 ათ. ლარი, მათ შორის 114,9 ათ. ლარი მოხმარდა მუნიციპალური განვითარების მრავალწლიანი სესხის დაფარვას. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან არ იკვეთება თუ რა ვალდებულებების დაფარვას მოხმარდა 115,9 ათ. ლარი;
   - ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშიდან გაუგებარია, განახორციელა თუ არა მუნიციპალიტეტმა 300,0ათ. ლარის ღირებულების ვიდეოკამერების შეძენა;
   - ანგარიშში დაფიქსირებულია, რომ მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში, ანასეულის დასახლებაში, მეცნიერების ქუჩა #14-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოპირკეთების სამუშაოები (ღირებულება 156507 ლარი). აღნიშნულ სახლში არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს, რადგან აღნიშნული სახლის მოპირკეთების სამუშაოები უკვე დამთავრებულია;
   - ანგარიშში არ არის ახსნილი საგზაო სასწორების ვერ ან არ შეძენის გამომწვევი მიზეზები;
   - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამისამართებულ და დასახლებულ ქუჩებზე განთავსებული უძრავი ქონების ნუმერაცია და ფირნიშების დამზადებაზე 2020წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 20000

ლარის ათვისება. წლიურ ანგარიშში აღნიშნული სამუშაოს განხორციელების შესახებ ინფორმაცია არ არის მოცემული;

- ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში სამოქალაქო ბიუჯეტის „იყავი თვითმმართველი“ პროგრამასთან მიმართებაში სრულიად გაუგებარი ჩანაწერია: „მიმდინარე წელს ამ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებლად შეირჩა შემდეგი სამუშაოები ....“ და ჩამოთვლილია 10 ღონისძიება, რომელთა შესრულებაც უნდა მომხდარიყო 2020 წელს. აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის მუნიციპალიტეტს უნდა აეთვისებინა 300,0ათ ლარი. აღნიშნული პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორად კი მითითებულია: კმაყოფილი ადგილობრივი მოსახლეობა;
- ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში მწირი ინფორმაციაა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესახებ;

- პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად მიღწეული საბოლოო შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები იდენტურ მაჩვენებლებშია გამოსახული, რაც დაუშვებელია პროგრამულ ფორმატში მომზადებული ბიუჯეტისათვის.

2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიმართ დაფიქსირებული შენიშვნები არ აყენებს ეჭვ ქვეშ საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიზნობრიობას და მნიშვნელოვნად ვერ ცვლის წლიურ ანგარიშში ასახულ ფინანსურ მაჩვენებლებს ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში რეკომენდირებულია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი